დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№03 ბრძანებით (დანართი 12)

ა(ა)იპ “გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები

შესავალი

ა(ა)იპ “გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მიმართულია უნივერსიტეტის მისიაში განცხადებული როლის, საუნივერსიტეტო საქმიანობის საერთაშორისო საგანამანათლებლო სისტემასთან დაკავშირების, საერთაშორისო პარტნიორების ქსელის გაფართოების, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისა და პერსონალის/სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უზრუნველსაყოფად.

ინტერნაციონალიზაცია, როგორც უნივერსიტეტის პრიორიტეტი გაცხადებულია უნივერსიტეტის მისიაში, ხედვასა და სტრატეგიაში. უნივერსიტეტი მოტივირებულია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას.

დოკუმენტის ძირითადი მიზანია, უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის თანმიმდევრული და ეფექტიანი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის განხორციელებას.

ინტერნაციონალიზაციის მიზნები

ინტერნაციონალიზაციის მიზნებია:

1. საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება.

2. უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და შემოქმედებით ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება და გაძლიერება.

3. სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა.

ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

1. საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო დონეზე, რისთვისაც ავრცელებს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმებზეც;

- ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, ფესტივალებში, კონცერტებში, მასტერკლასებში, ვორკშოპებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას;
- ხელს უწყობს ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრებასა და პარტნიორული ქსელის გაფართოებას. უზრუნველყოფს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებას, პროგრამებში უცხოენოვანი კომპონენტების დამატებას, მათ შორის უცხოელი პროფესორების მოწვევასა და სასწავლო-სამეცნიერო პროექტებში ჩართვას.

2. უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და შემოქმედებით ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარებისა და გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- ხელს უწყობს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი პროექტების განხორციელებას;
- ზრუნავს საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების მოძიებასა და ადგილობრივი/საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის განვითარებაზე.

3. სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- ქმნის შესაძლებლობებს პეროსნალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მიმართულებით (საზღვარგარეთ სწავლის/კვლევის, გაცვლითი სემესტრი, საზაფხულო-ზამთრის სკოლები და ა.შ.), ასევე გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ პროექტში მონაწილეობის მიზნით;
- უზრუნველყოფს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას როგორც საკუთარი, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო დაფინანსების ფარგლებში;
- ზრუნავს საერთაშორისო სტიპენდიების, ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი მუდმივად ვითარდება უნივერსიტეტის საჭიროებებისა და განვითარების კვალდაკვალ. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების მიზნით, გამოიყენება შეფასების შემდეგი ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდა ქვეყნის გარეთ;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი და თანამშრომლობის შინაარსი;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში წევრობის მზარდი მაჩვენებელი;

- ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა და მათი ჩართულობის ზრდის მაჩვენებელი წინა წლის მონაცემებთან მიმართებით;
- საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში ჩართული აკადემიური პერსონალის მზარდი ოდენობა/საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მზარდი მაჩვენებელი;
- აკადემიური პერსონალის განმავითარებელი საერთაშორისო აქტივობების რიცხვი, მასში ჩართული პერსონალის მზარდი მაჩვენებელი;
- სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები და მონაწილეობის დინამიკა;
- მოპოვებული გრანტები;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და აკადემიური წლის განმავლობაში დაგეგმილს მიღმა განხორციელებული საერთაშორისო აქტივობების მაჩვენებლები.